შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №22318

2021 წლის 9 ივლისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №8):

ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „პ^{3}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ^{4}“ ქვეპუნქტი:

„პ^{4}) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129^{1} მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ოპერაციების შეფასების ცალმხრივი წინასწარი შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით სამსახურში შემოსული დოკუმენტების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ორგანიზებას;“;

ბ) 9^{2} მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^{1}“ და „ე^{2}“ ქვეპუნქტები:

„ე^{1}) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129^{1} მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ოპერაციების შეფასების ცალმხრივი წინასწარი შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით სამსახურში შემოსული დოკუმენტების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ე^{2}) ოპერაციების შეფასების ცალმხრივი წინასწარი შეთანხმების აქტის პროექტის მომზადება;“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი ლევან კაკავა